



საჯარო სამართლის იურიდიული პირი
**საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო
უნივერსიტეტი**

ბრძანება



MES 4 21 0000781929



10/08/2021

N 142/2

2021 წლის 10 აგვისტო ქ. თბილისი

2021-2022 სასწავლო წლის შემოდგომის სემესტრში შიდა მობილობის პროცესის
ადმინისტრირებასთან დაკავშირებული ვადების განსაზღვრის შესახებ

„უმალესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 51-ე მუხლის პირველი ნაწილის, 52-ე მუხლის პირველი და მე-2 ნაწილების, 53-ე მუხლის პირველი, მე-2 და მე-3 ნაწილების, 54-ე მუხლის პირველი ნაწილის, 55-ე მუხლის პირველი და მე-2 ნაწილების, 56-ე მუხლის მე-2 და მე-3 ნაწილების, 57-ე მუხლის საფუძველზე,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ :

1. საგანმანათლებლო ერთეულის/ფაკულტეტის მიერ შიდა მობილობის წესით საგანმანათლებლო პროგრამების ვაკანტური ადგილების რეგისტრაციის ვადა განისაზღვროს 2021 წლის 2, 3, 6, 7 სექტემბერი. განცხადებასთან ერთად წარმოდგენილ უნდა იქნეს სტუდენტის პირადი საქმის ასლი და შემოქმედებით ტურისათვის საფასურის გადახდის ქვითარი.
2. 2021 წლის 8-9 სექტემბერი განისაზღვროს მობილობის მსურველთა საუნივერსიტეტო შემოქმედებითი ტურებისა (საშემსრულებლო-შემოქმედებითი მიმართულება) და საუნივერსიტეტო გამოცდების ჩატარების ვადად. გამოცდის/შექმედებითი ტურის შედეგების გამოქვეყნების ვადა - 8-9 სექტემბერი. აპელაცია - 9-10 სექტემბერი.
3. შესაბამისი კომისიების მიერ მობილობის მსურველთა საბუთების განხილვისა და საგანმანათლებლო ერთეულის/ფაკულტეტის მიერ სტუდენტებისათვის კრედიტების აღიარების ვადად და აღიარებული კრედიტების რაოდენობის გაცნობის და წერილობითი განცხადებით დასტური/თანხმობის დადასტურების ვადად განისაზღვროს 2021 წლის 13-14 სექტემბერი.

4. შიდა მობილობის საბოლოო შედეგების გამოქვეყნება შესაბამის საგანმანათლებლო ერთეულზე/ფაკულტეტზე/პროგრამაზე - 2021 წლის 14 სექტემბერი.
 5. შიდა მობილობის წესით სტუდენტების გადასვლის შესახებ რექტორის ბრძანების გამოცემის ვადა განისაზღვროს - 2021 წლის 15-16 სექტემბერი.
 6. შიდა მობილობის წესით ჩასარიცხ სტუდენტთა სსიპ საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტში ჩარიცხვის შესახებ რექტორის ბრძანება სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში წარდგენის ვადად განისაზღვროს 2021 წლის 17 სექტემბერი.
 7. საგანმანათლებლო ერთეულის/ფაკულტეტის/პროგრამის შეცვლის მსურველთა მიერ შეთანხმების (ძირითად ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე) გაფორმება - 2021 წლის 17 სექტემბრამდე.
 8. საშემსრულებლო-შემოქმედებით საბაკალავრო პროგრამაზე მობილობის მსურველმა სტუდენტმა განცხადებასთან და დოკუმენტაციასთან ერთად უნდა წარმოადგინოს შემოქმედებით ტურში მონაწილეობის საფასური - 30 ლარის ქვითარი. აპელაციის საფასური - 20 ლარი.
 9. ბრძანების უნივერსიტეტის ოფიციალურ ვებგვერდზე განთავსება დაევალოს უნივერსიტეტის საზოგადოებასთან ურთიერთობისა და კომპიუტერული უზრუნველყოფის სამსახურებს.
 10. ბრძანების ყველასათვის ხელმისაწვდომ ადგილზე განთავსების და შესაბამისი სტრუქტურული ერთეულებისათვის გადაცემის უზრუნველყოფა დაევალოს უნივერსიტეტის კადრების და კანცელარიის სამსახურს.
 11. ამ ბრძანებით გათვალისწინებული ჩარიცხვების რეესტრში ასახვა დაევალოს რეესტრის წარმოებაზე და მობილობაზე პასუხისმგებელ პირს.
 12. ბრძანება ძალაშია გამოცემისთანავე.
- ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოში მისი გაცნობიდან 1 თვის ვადაში, შემდეგ მისამართზე: თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი მე-12 კმ., N 64.

საფუძველი: უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის
ხელმძღვანელის მ. შ. ა. სამსონაძის სამსახურებრივი
ბარათი 09.08.2021 წელი

საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და
კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორი
გიორგი შალუტაშვილი

